

არჩილ თალაკვაძე

1/ 9.577  
1



ლიჩი ქუჩი  
ლიჩი ქუჩი

F 4219



არჩილ თალაკვაძე

# ღიჩიჭული ღეჩნეჭი

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

თბილისი

2004

უპკ (UDC) 894.631-1

თ 241



Archil Talakvadze  
Lyric bowl

რედაქტორი

- მანანა ბუკია

მხატვარი

- ცისია კახაძე

ტექნიკური

რედაქტორი


- ინგა ბუკია

წიგნის გამოცემა ფინანსურად  
უზრუნველყო მარინე ჩხარტიშვილმა

ISBN 99928-0-783-0

© არჩილ თალაკვაძე

© სულხან-საბა ორბელიანის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის  
გამომცემლობა



Handwritten text: 7.9.95

\*\*\*


ჩემი ფიქრები დაირქმევენ  
ფსევდონიმებს  
და 'შე'მღიღ  
პოეტებად იხეტიალებენ  
'შენ'ში...

2003

მეშინ

შენ ისე ხმამაღლა  
წამოგცდა უარი,  
რომ ანტიკვარი  
სიჩუმის ღარნაკი  
დაიმსხვრა ოთახში.

2003



\*\*\*

ყველაზე ჩქარი დღე იყო  
გუშინ...

ნანახი არსად!..

და ლოტოსების ტბა იდგა  
გულში,

სიცოცხლის ფასად...

2000

\*\*\*

მორიელი თვალებიდან

მორთავს შიშინს სადაც არი...

მორბის გარდაცვალებიდან

მორჩენილი ნაკაცარი!

2000

მეფინა შებღზე თოვლი  
 ნელცხების,  
 იყო ზამთარი გაწვდილ რტოებში,  
 ცვიოდა ციდან თეთრი  
 მერცხლები  
 და მე ვიწექი სიმარტოვეში...

წამილებს ცივი სიმშვიდის სხივი,  
 დახრილ იმედებს მივუტან  
 ჩემს თავს.  
 ცარიელ სახლის სიჩუმე დამდლის  
 და ისევ ტანჯვის დედოფალს  
 შემრთავს!

2001

მთვარის გაცრეცილ მიტკაღს,  
ტბაში იპოვის გედი...  
(რაც არაერთხელ მითქვამს,  
იმას გიყვება ბედი)!

გადასწორებულ ტყეებს,  
რა შერხენიათ ან კი,  
რომ მოაცილონ დღეებს  
გაუსაძლისი მანკი?

2001

“პოეტებმა რომ იცოცხლონ,  
მაღ-მაღე უნდა გარდაიცვალონ...  
ბოლოსდაბოლოს, პუბლიკა უპირატესობას  
მკვდარ პოეტებს ანიჭებს და ამაში ის  
მართალია.  
პოეტი, რომელიც ჯერ არ მომკვდარა –  
ანაქრონიზშია.”

ჟ. კოჭო

იწვა სიჩუმე მძლევი, ამტანი  
და გულისცემა ჩემი ქრებოდა  
სიკვდილი, როგორც ღვეიათანი,  
მარადისობით მემუქრებოდა...

მეახლა სევდა, ყოვლის  
მომთმენთა.  
ანგელოზებმა ცრემლი მასხურეს.  
ამაოებამ როცა მომთენთა,  
თეთრი ზეწარი წამომასხურეს.

2002

თვალებს გამიხელს დადღა...  
 სუენია არყის და ისევ “За нас!”  
 მოღანდო კატა ოცნებებს დაყრის  
 და შეერევა კვამლიან “ხაღღას”.  
 მქარდნეები ამსხვრევენ არღანს,  
 რომ ცეცხლის აღით მოიჭრან  
 ფაშვი.

კუთხეში კედელს მიაფენს ირიბ,  
 ნასაყვედურად წამწამებს ბავშვი...  
 რქენენ ხარები კართან  
 ხელგამოწვდილ მთვარეს,  
 დავიხარები და ტერფებს შორის  
 ყრია ნაწნავი მძინარე მტკვარის.  
 ცელით მოიკვეთს ღამე კიდურებს,  
 რომ დარჩეს ტორსი.  
 ცივ ნირვანაში ჩამოკიდულებს  
 ქაოსი გვძირავს.  
 ხელჩაკიდებული ყვავები ქუჩებს  
 ამხოვენ,  
 ღმერთო, მამყოფე...

2002

\*\*\*

დამე ფერმკრთაღია, როგორც  
კამელღია.

ცეცხლი გარიყული თევზივით  
ფართხაღებს.

რწმენის ფიაღები

რომ არ დამეღია,

შავმა იღბისებმა

თვაღები დამთხარეს!

2002

\*\*\*

დღე ისე ჯიქურ მერკინა,

სული დაიწურა ოფღად.

ყოველი წამი მეტკინა,

რაც მიმატოვე სოფღად.

2002

სდიოდა წვიმა, როგორც ნათლობა  
ჩემს დაძველებულ ცისფერ  
ნაკაწრებს...

რომ არ 'შემეტყოს უსინათლობა,  
ოჰ, სულო, ახლა ხელზე დაგაწვენ!

2002

## ღმერთო

მეშინია უნდო ვნების,  
მეშინია მარტოობის,  
მეშინია ბუნდოვნების  
ა ვ ტ ო რ ო ბ ი ს !

2003

\*\*\*

ჩვენ ვცდებით, როცა დიდ სიკვდილს  
არ ეუფრთხით და გვეშინია, როცა  
პატარა სიკვდილი მოდის...

\*\*\*

სიკვდილით დასჯა იმდენად აკლია  
ჩვენს კანონს, რამდენადაც ჩვენს  
ზნეობას კანონი, რომ არა კაც ვკლათ.

\*\*\*

ისევ ისეა ყველაფერი... ოღონდ მე  
არ მჯერა.

\*\*\*

ყველაზე მეტი მყიდველი ქვეყნად  
ამაოებას ყავს.

\*\*\*

აჩუქე ყველას ყველაფერი, აჩუქე...  
იქნებ განთავისუფლდე ამქვეყნიურის-  
გან და ამაღლდე... ზეცად.

\*\*\*

ჩემს სტელაზე მინდა ეწეროს:  
“არავინ”

\*\*\*

როცა ყველაზე ქვევით ხარ, შეი-  
ძლება სწორედ მაშინ ხარ ყველაზე  
ზევით...

\*\*\*

სულ... სულ... სულ... სული.

\*\*\*



დამღალა, ღმერთო, პატარა ადამი-  
ანების გადიდება...

\*\*\*


შენც რომ მოხვიდე, ჩემი ცხოვრება  
მაინც ღოდინი იქნება... ქრისტეს  
ღოდინი.

\*\*\*

ყველა ნაბიჯზე მხედება ეშმაკი,  
უფრო სწორად, ეშმაკის ფეხი... რომ  
დავეცე.

\*\*\*

სამყაროდან გაქცევა რომ შემეძლოს,  
არ გავიქცევი... რომ არ შემეძლია,  
იმიტომ გავრბივარ.



\*\*\*

მზეა გარეთ.  
პერანგს იხდის შორეული  
საფირები...

შეაყარეთ,  
შეაყარეთ ოკეანეს ნაპირები!

მზე ორდება.  
...და ორმაგი სურვილია  
ზემოთ დგომის.

მეორდება  
ოქროსფერი მირაჟები  
შემოდგომის.

2001

\*\*\*

ახლა ვაკლივარ ალბათ ოცნებებს  
და გულში მზეა აუარება.  
აღმოსავლეთში ბინდი მოცელებს  
დაუნდობელმა სამურაებმა.

ქუჩებში ფიქრი ქარივით დადის,  
განთიადს რქებით აშინებს კურო...  
და ყველგან ცივი ტბებია  
დარდის,  
დაწვე და გულზე რომ დაიხურო.

2001

საქართველოს  
პარლამენტი  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სახურავზე დგას მთვარე —  
ორატორი.  
მიყვარს, რასაც მიყვება ის.  
მხოლოდ ცრემლი მრჩება ორად  
ორი  
და წამწამები მ'ხის...

...ორეს ძველინა თიხეს ძეგლით 2001

თინტო იფიც ძეგლენს აქ

ქიფრად

...ორეს ძიად ნიორ \*\*\*უნც აქ ნეშად

ზღვა კალმახით ხვანცალებს,  
ცხელ სარეცელზე დაშვებით.  
გული სავსეა სილურჯის  
მარადიული ბავშვებით...

2002

## გავშვობაში

-ოვლი,  
- -ვლი,  
- - -ლი,  
- - - - ი,  
ასე  
დნებოდა  
თოვლი...

2003

# სახლი



ოჰ, ისე მიყვარს,  
როცა წვიმდება  
და ჩემი სახლი,  
გამთბარ სახურავს  
წამომახურავს!...

2003

გძი  
ბელოუსკი  
...ილგო

კვლავ ვზივარ ჩრდილში,  
გაყინულ სკამზე  
და ვფიქრობ შენზე, –  
რა ეუთხრა ამ მზეს...

2003

## ილუზია

ქარი დასრულდა ხეთა

მკლავებში.

მარგალიტებით ატირდა ფშაღა.  
კლდემ შეიცურა ხელი ყვავებში  
და ნაწნავები ჩამოიშაღა.

2003

\*\*\*

ადამიანი რომ ვარ, ამან ბევრჯერ  
შემიშალა ხელი შემოქმედებაში.

\*\*\*

...ის ოცნებობდა უდაბნოზე... თავის  
თავთან შესახვედრად.

\*\*\*

ისე ახლოა ცა ჩემს თვალებთან,  
ბავშვი რომ ვიყო, ვარსკვლავებს  
შორის ხაზებს გაგავლებ.

\*\*\*

ჩემი ცხოვრება ისე გაივლის,  
როგორც პირველი წუთი გაღვიძე-  
ბიდან.



\*\*\*

თვალებში გროვდება თეთრი  
სინოტივე.  
ტაღლების კოცნაზე წითლდება  
ზღვისპირი...  
იხსუნებს თცნება მარჯნისფერ  
მოტივებს  
და მერე დაკარგულ ნაკვალევს  
მისტირის.

2001

\*\*\*

მთვარეა ახლა ჩემი კანოე  
და ეს სიბნელე ქარიშხალია...  
როგორც აფრები,  
მაკლია შენი უსიგანოე....

2001

\*\*\*

მელნით თმაშედებილ, კუდიან  
დამეებს,  
აღბათ, ქიმერებმა სიკვდილი  
ახარეს!

...ჩემი თვალების მიღმა სიბნელეს  
ციცინათელებმა გამოაყარეს...

2002

\*\*\*

სული ფრთებივით ეღლება მთვარეს  
და უძილობას მიეთვისება.  
დარდებმა წუხელ თვალის გუბები  
შავი ხელებით გამიფართოვეს.  
ოჰ, სმენა ახლა შენი სახელის  
გამეორებით ისე ივსება,  
მოსაკლავადაც კი გავიმეტებ ამ  
სიმარტოვეს!

2002

\*\*\*

გუშინ მთელი დღე ვგრძნობდი, როგორ მელოდა ჩემი დაღლილი სული.

\*\*\*

ვიდექი დიდხანს უფსკრულთან. ბოლოს ჩემმა თავმა ხელი მკრა და გადავეშვი.

\*\*\*

ქარი ცივ ხელებს დამადებს შუბლზე, რომ დაიჯეროს – მართლა ავად ვარ.

\*\*\*

შენ ჩემი ფიქრის ფსკერზე იწექი, როგორც ცისფერი სიმშვიდის გემი.

\*\*\*

აღბათ, მოწყენილობაც თანდაყოლილია.

\*\*\*

სად არ მეძინა, რომელ ხის ძირში,  
მაგრამ ხავსი მხოლოდ ვაშლმა მო-  
მახურა...

\*\*\*

ძილში უფრო ადვილია დავიწყება...  
და თუ ძილიც მავიწყდება მაშინ რა  
ვქნა?

\*\*\*

თუ გინდა მიხედე, რა სხვაობაა  
“თბილ” და “ცივ” ჯაზს შორის, ყინუ-  
ლის ინსტრუმენტზე უნდა დაუკრა...

\*\*\*

აღბათ, სხვაგან, სხვა დროს, სხვა  
ცხოვრებაში დავიბადე, ჩამეძინა და  
ეს ცხოვრება მესიზმრება.

\*\*\*

შემოქმედს ყოველთვის სჭირდება  
სიჩუმე, თავისთავთან შესახვედრად.

\*\*\*

რაც გინდა თქვი... როცა მარტო ხარ.

\*\*\*

ის საბურველს გაიხდის და შენ გააფრენ, როცა მის ოქროსფერ სხეულს დაინახავ... ის მოვა და ყელზე ჩამოგეკიდება, ხელებს მოხვევ, მიიზიდავ, თვალებს დახუჭავ და შენი ტუჩები მას თავისით იპოვის... შენ ღრმად ამოისუნთქავ და ის იკივლებს, შენ თითებს მოუჭერ... ის მელოდით გიპასუხებს. დრო გავა და საქსაფონო... შენი მუსიკალური შეყვარებული გახდება.

\*\*\*

ისეთი ღამეა... დაკარგვა მოგინდება.



\*\*\*

სახურავზე წევს ორსული...  
ფოთოლთა მანტია.  
ქარი ჩემამდე ვერმოსული  
ვნებით ანთია.

2002

\*\*\*

როგორც თეთრი საშველი,  
სამრეკლოზე დილა დგას  
და ცივ ტროტუარებზე  
ფოთოლცვენა მილაგდა.

2002

\*\*\*

დღეს აკლდამაში შეასვენებენ  
არსაამსოფლო ფიქრის  
ოსტატებს...  
და მეეზოვე ყვითელ დედოფალს  
ისევ მომტაცებს...

2002

\*\*\*

ქარისგან მაინც ვერ გადატეხილი,  
ფეთქდება ბაღებში ფიქრი და ხეხ-  
ილი.

\*\*\*

ჩემი ოთახის ოქროსფერ ფარდებს  
მითიური საწმისივით მოიტაცებს ქარი.

\*\*\*

მოჰქონდათ ახალ ფიქრებს ყვავილე-  
ბი ძველი ფიქრების სასაფლაოზე.



മുഖ്യമന്ത്രിയുടെ അദ്ധ്യക്ഷതയിൽ  
 നടന്നു.

მოდქებს მოაუფლოს ფუფუნება მათ  
 ეს ებოგობა მოუგო და ეძიან თანად  
 ეძიან

தனி ஏடுகளும், இலக்கணங்களும், இவை  
கூறும்

... (၁) နှင့် (၂) ကို ပြန်လည် စစ်ဆေးရန်

## ბზარები

თვალს ვერ გაშორებ და ვიცი  
მე ვარ,  
რომელიც ახლა ლანდივით  
დაგდევ.

ასე უხარია გულს თუ არა  
მარტოობა ბავშვობაშიც მიგემია.  
სევდა რომ დამემსხვრა ღამით,  
იმ ნატეხებით ქარაგმები იგებიან.  
რა აზრი აქვს ფიქრს  
თოთხმეტმარცვლანს?  
ლოთები აზარფეშს თოთხმეტს  
დაცლიან,  
რომ წაქცეულ მსოფლიოს შეხედონ.  
(დრო მაინც არ გადის, როგორც მე  
მინდა  
და მეც არ გავდივარ, როგორც მას  
უნდა).

ხან ერთმანეთი გვერევა,  
(თუმცა მახსოვს, რომ მერე ვარ)...

ჩვევა მაქვს წრეზე ძილის,  
ძილშიც მიძინია.



მოდის ბიძინია, ცალხელა ზნაურა,  
საიდან ვიცნობ არ მახსოვს, მაგრამ  
აქ რომ მომაგნო, არც მეუცნაურა!  
პირველი გაჩენა ფეხით მოვიარე,  
ესეც ლაბირინთი ხომ არაა?

კარზე კაკუნია...

თან ისე მიძიმე,

ვიცი მგლოვიარე ომარაა.

ღმერთო, ნუგეში რა ძნელია!

თუმცა ადვილი სათქმელია –

ვიცი ადამი ვარ...

(ხვალ რომ მარადისობა თავზე

გადამივა).

მაინც რა შორია იქამდე,

ვიღლები კირთებით...

წყალი გამაციებს ან ტყვიის

კვირტები,

რომ გავირიყო და ვეზიარო

უ-კ-ი-დ-ე-გ-ა-ნ-ო-ბ-ა-ს!

ან როგორც გინდა ისე გაიგე,

თუ შეგიძლია ამ რითმებით კუბო

აიგუ: 

ან უკეთესი რამ მოიგონე...

შენ მიძიმე ხარ და ადვილად  
ჩაიძირები...

ცაში.

...რომ შემოდგომას უხმოდ მიეგებო.

ფოთლებში გიპოვო,

ხელი მოგხვით

და ისევ მიგიკრა...

საიდანაც ჩამოიბზარე.

— ათუცნსაჲს იმეცხა ანუა

2001

\*\*\*

ლექსი წვეთივით იქცევა ხელზე,

სიცივეს სურს, რომ ფიქრი

მოცელოს

და პოეზიის სველი თითებით

არ შემიძლია, რომ არ მოგწერო...

2001

იღვრება გულში მოტკბო შერევის  
 ჭავლი,  
 თოვლისფერი ანგელოზები შენით  
 მავსებენ...  
 და ბავშვივით მეშინია შენს  
 ქუჩაზე გავლის,  
 ასე მგონია, ღურჯი დარდები  
 შემითავსებენ.

და ეს უცხო  
 წიგნი

2002

### ჰალუცინაცია

ვწევარ სიცხიანი  
 (და სწუხს  
 თერმომეტრი)...  
 და შენ ტიცხიანის  
 წიგნით შემოხვედი...

2002

## ქალი

ქალი რა ქალია,  
ერთხელ თუ არ  
დაგესიხმრება?

ქალი რა ქალია,  
რომელზეც იტყვიან – ვაჟი  
უპოვეთო...

ქალი რა ქალია,  
ერთხელ თუ არ  
მოუტაცნიათ?

ქალი რა ქალია,  
თუა... უპოეტოდ.

2003

\*\*\*

...და საიდან არ ჩამოდიოდნენ,  
პედრო, ალენი, ჟანი, პიერი...  
შენს თითებს ჰქონდათ,  
საიდუმლოზე  
ჯვარდაწერილი ქალის იერი.

2003

\*\*\*

შენს ნაფეხურზე  
ქუჩა ფოთლებს  
გადაიფარებს  
და ამიტომაც,  
ვერ გიპოვი  
შემოდგომაზე...

2003

დღეა მომწვანო, მზე დაწრეტილი.  
სიხუმეს ქარი დაღაღს დაუშლის.  
სხივთა მკლავებად გადაღეწილი-  
არის უთუოდ ამ სიყვარულში...  
გაგიჟებამდე რაც მიტაცებდა.  
...როგორც წერილებს-დაცვენილ  
ფოთოლს,  
აგროვებს გულში მდინარის  
ზვირთი  
და ვგრძნობ ამაღამ ფიქრები  
მოთოვს,  
რომელიც ჩემთვის იქნება  
ტვირთი...  
შენში ნადვილად რომ ჩავიძირო.

ივანე ბენიშვილი  
„ქალბატონი“ 2003

\*\*\*

თებერვალია — და ისე ცივა,  
რომ მინდა სული ვაჩუქო  
მტრედებს...  
მიპოვონ სადმე ანგელოზებმა,  
და შენს თვალებში  
დამასაფლაონ!

2003

### სხვა ილუზია

ზღვა იხდის თხელი სიმშვიდის  
კაბას...  
მიშრება ფიქრი ყვითელ სიცხეში.  
შენ ტალღებიდან ამოხვალ სველი  
და ჩემს თბილ სხეულს  
მიეფიცები...

2003

\*\*\*

ორი გ'ზა მაქვს გადარჩენის – პოეზი-ის და შენი.

\*\*\*

ჩვენს ურთიერთობას მაინც აკლია უსაზღვროება.

\*\*\*

ყოველთვის გიცნობდი... მაშინაც კი, როცა არ ვიყავი დაბადებული.

\*\*\*

ახლა ყველაზე მოკლე გ'ზა შენამდე... ფიქრია.

\*\*\*

არავის არ შეუძლია ქვეყნად იყოს “შენ”, შენც არ შეგიძლია იყო “არავინ”...

\*\*\*

გვერდით გახედვის მეშინია, იმიტომ რომ ჩემს წინ შენ დგახარ.

\*\*\*



მე ცხოვრებიდან ვერ მოვიტაცე...  
შენი თვალები.

\*\*\*

იქნება დიდი ბედნიერება, თუ უშენობას გადავეჩვიე.

\*\*\*

ორპირი ქარი რა შუაშია?.. შენი  
თვალების მონაქროლით ვცვივდები  
ხოლმე...

\*\*\*

მეჩვენება, რომ პირველად გნახუ-  
ლობ ყოველთვის.

\*\*\*

ბავშვობაში ზღაპრებით ვიძინებდი,  
სიჭაბუკეში... შენით.

\*\*\*

რამდენი ძაფი გამიწყდა უკვე... და  
მაინც რამდენი მაკავშირებს.

\*\*\*

დმერთმა მიწისგან შექმნა ადამი,  
ადამისგან – ქალი, რომელმაც ადამი  
კვლავ მიწას დაუბრუნა.

\*\*\*

უსასრულოდ რომ ვფიქრობდე შენ-  
ზე, უსასრულოდ ვიქნებოდი პოეტი.

\*\*\*

ჯიბეებს ავივსებ ქვებით და ხიდ-  
იდან გადავხტები... შენში.

\*\*\*

თითქოს ყველაფერი დასრულდა,  
თითქოს ყველაფრის თავიდან დაწყე-  
ბაც შეიძლება...

\*\*\*



სადმე გაგონილ მელოდიას  
გემო აქვს ვაშლის...  
და შენთან მოსულ ქიმერასაც  
ლოდინი წაშლის...

2000

## შემჩნევა

ჩამოშლილ კედლებს ეცინებათ,  
ჩემს ნაადრევ სიბერეზე  
ჩურჩულებენ.  
როცა მოწყენისგან ეძინებათ,  
მაშინ მეძახიან ურჩხულები.

2001

\*\*\*

აშო ქუმორთიო! – კივის აშორდია  
და ვემაღლები მშობლიურ ძახილს.  
ცოდვილ მეთევზეებს მალე  
დაშორდიო,  
რაშეზად დაბმული ქარები ნახეო...  
და კარგად ვიცი გზები ნაოსნის!  
და რომ ვერ ავაღ ახლა

მონბლანზე!  
მინდა ფიქრების გავხდე ქაოსი  
და საკუთარი სივრცე მოვბლანდო.

2002

\*\*\*

ჩვენებურ ბაღში გაზაფხულს  
ვიპარავ,  
სხეულთან ახლოა მაისი...  
გათხოვილ სიწუმეს ნამუსს ხდის  
გიტარა,  
სიწუმე თავს ვეღარ დაიხსნის.

2002

\*\*\*

სისხლი – ღამეა ძოწეულების,  
(თუმცა საკმაოდ უცნაურია)...  
ახლა სავსეა ბროწეულების  
წითელი ცრემლით ჩემი გურია.

2002

## ბავშვი

შორია სახლი.

მძინავს ალბათ, ბაღახის ძირში.

...ცრემლით წაშლიან

ჩემს ნაკვალევს

გიაცინტები...

და როგორც ბავშვი, გაღახვის

შიშით,

შენს დაძახილზე აღარ გამოვალ

და ერთხელ მაინც,

მშობლიურ მიწას

მივაცივდები...

2003

ახლა ოცნების ფრთებით ვარ  
დაცული,  
ზამთრის ცივ ხელებს რომ არ  
შევაკვდე...  
და მოხანს სარკმლიდან  
მსოფლიო —  
ქალწული,  
ნემი გულიდან თითქმის შენამდე...

2002

## შეჯრილი თმები

ტალღები მოთქვამდნენ  
დაკარგულ კიბორჩხალს.  
...და მწვანე თმები ამოიზიდა,  
ზეღმამ, რომელიც  
მოჰქონდა ორჩხომელს.

2003

## 29 იანვარი

(ქაღვნიკა დედაჩემს)

თბილისმა ბინდი დააბინავა,  
ცისფერი ღამე აწევს ზედაზენს...  
და ვფიქრობ ახლა – სულით  
ვინა ვარ  
და ვფიქრობ ახლა, მშობელ  
დედაზე!  
ეს იანვარი ისე თბილია,  
თითქოს გულიდან არ იშორებდა...  
დღეს დედაჩემის იუბილეა  
და ყვავილებიც არ იშოვება!!!

2003

\*\*\*

როგორ უნდა ვიფიქრო მომავალზე,  
როცა დრო აღმოვაჩინებ საფიქრადაც არ  
მყოფის.

\*\*\*

საოცრად ადვილია და ამიტომაც  
ძნელი.

\*\*\*

წიგნს შეუძლია გითხრას ყველა-  
ფერი... რაც იცის.

\*\*\*

უკვირდა მომხდურს, ერთი ქართვე-  
ლი ათად ეჩვენებოდა ომში, მაგრამ  
ვერც თრიაქის წევას ანება თავი, რად-  
გან სიფხიზლეშიც იგივე მეორდებო-  
და...

\*\*\*

დიდი ხნის მერე, რომ არ ვიქნებით,  
მებაღე ჩვენში ყვავილებს ჩარგავს...

\*\*\*

გაორებული ადამიანები მალე კვდებიან, მათ ერთი სიცოცხლე ორს უნდა გაუყონ!

\*\*\*

ჩემს სოფელს ქვია წამიერეთი, ჩემს ქვეყანას – წამების ქვეყანა.

\*\*\*

შენ ისე დიდი გული გაქვს, ომში ნებისმიერი ტყვია მოგხვდება.

\*\*\*

ბანკნოტებიდან ყველაზე ხშირად მინახავს ლარი, მხატვრებიდან ყველაზე ხშირად – ფიროსმანი.

\*\*\*

...და მინდა ვწერო, იმდენი ვწერო,  
რომ ჩემს ცხოვრებას დაარქვან წერა.

\*\*\*

ყველაფერი მახსოვს... მახსოვს ისიც,  
რომ ბევრი რამ დამავიწყდა.

\*\*\*

მინდა მოვიყვანო... მოვიყვანო  
...მეგობრებს - მოვიყვანო

\*\*\*

ინწინა მესამე იფიცე იფიცე ცდი მენ  
...მეგობრებს - მოვიყვანო

\*\*\*

ფაბრიკაში წავედი... მოვიყვანო  
...მეგობრებს - მოვიყვანო



\*\*\*

უკვე გვიან იყო, როცა მეოცნებე  
მებადურებს,  
მიუვალ ნაპირებით აოცებდა  
საღამური.

თხელი ფარდის უკან იწვა  
პირველი მენატურე,  
რომელმაც ხელოვნებას უძღვნა  
საღამური...

2001

\*\*\*

მაგიუებს ღამე სამფერი თმებით,  
ეცემა წვიმა სულის კლავიშებს...  
ასეთ სიჩუმეს გავერთიმეხ  
და საფეთქელში ფიქრებს დავიშენ.

2001

მოაქვთ დამურებს ნელი რუტინა,  
კანკალებს ეზო, ველი კალიფსოს...  
თავს მევედრება გილიოტინა,  
რომ არსებობა გაიხადისოს.

2002

\*\*\*

ვეებერთელა დედაქალაქში  
გულს იისფერი ლანდი აჩნია  
და უსასრულო მისამართებში  
მე ერთი ბინაც არ გამაჩნია.

2002

\*\*\*



მრგვალ სიბნელეში  
(ოდესმე მაინც),  
რუხი პალმებით  
მომესაღმებით...

2002

\*\*\*

სიბერისაგან დაღლილ ჩაიდანს  
(ცხელი კივილი ისევ აიტანს...  
და მერამდენე თენდება ასე  
დილა...

2002

\*\*\*

ჩემი ღურჯი ციდან ისევ დავეშვი  
და შენს თვალებთან  
მომიყვანს ეს გზა,  
რომ მიუწვდომელ სისადავეში  
ღექსები შევთხზა...

2002

\*\*\*

ვიცი, ხეებზე ღურჯი ცვარია  
(მაშინ რომ განახე)...  
ახლა გავიღვიძებ და ისევ ცარიელ  
თვალებს გავახელ.

2002

\*\*\*

დამაქვს სითბო.  
და მაქვს ისე მცირე,  
სამარეში  
რომ  
მიყვებათ,  
ხოლმე.

2003

\*\*\*

იორთქლება ფიქრი, სიცოცხლე მდორე  
და კიდევ ერთ ზღაპარს ვეხვეწები  
იღბალს,  
მიაქვს დღეთა ოხერა დავიწყების  
მორევს,  
სადღაც, გალაქტიკის სამანების  
მიღმა...

2003

ფიქრის მარცვალს თუ დაგივარდა,  
პოეზიაში გაიდგამს ფესვებს...  
ქართული მიწა ისე თბილია.  
(შენ რომ იცოდე, მოკვდები  
დღესვე).

2003

## ზიქრი

(ისე ჩემთვის)

მჯერა ნიკოსი —  
ჩემგან არ გამოვა პროზაიკოსი.  
მჯერა ნოესი —  
რომ არ ვარ, ახლა უსათნოესი...  
და როცა ყველას  
ვუჯერებ — ვინ ვარ,  
ასე მგონია,  
არ გ ა ვ ჩ ე ნ ი ლ ვ ა რ !

2003

ორი ათას ორმოცდაათი,  
ჩემთვის იქნება ორმოცდამეშვიდე.  
ორი ათას ორმოცდაათის  
მთავარი მიგნება – ორმოც და  
სიმშვიდე.

2003

## სათაური

ეწერა ლექსებს –  
“გაფრინდაშვილი ვალერიან,  
თვითმკვლელობის  
და  
სიგიჟის  
გალერეა.”

2003

## ღამე

ღამე გაქცეულა სიზმრის  
აღმართებით,  
აღბათ, უფიქრია – სიკვდილს  
ავცდებო.  
სახლში დატოვებულ ფურცლის  
ხელისგულზე,  
ისევ  
გათენების  
განცდებია...

2003

# ბაბრძელება



(ნაწევარი)

...როგორ იკლავენ თავს პოეტები,  
როგორ იწვეები, ფიქრო, ამ თავში  
და მეშინია, მეც არ მოვიკლა,  
თავი.....'ხამთარში.

2003

\*\*\*

მე კი არ მოვკვდები,  
ჭადრებს დავცვივდები  
და ფოთლებივით  
შემაგროვებენ...

2003

ცა მეძახის - ქიმერები გელიანო...  
 დედაჩემი შალზე დილებს  
 ამაგრებს.

მე კი, როგორც ერთი  
 აურელიანო,  
 დასახვრეტად ცივ კედელზე  
 გამაკრეს.

2003

დარდი

შენ, ამედევნე აჩრდილივით  
 ბედისწერავ!

ვერ გაგიმკლავდი...

სიკვდილის მერეც რომ შემეძლოს  
 ლექსის წერა,

თავს მოვიკლავდი...

2003

\*\*\*

გიჟი რომ ვიყო (კოტათი მაინც!)  
მოეღს პოეზიას დავინემებდი.

\*\*\*

თოვლი მოვიდა... ეწამა... დადნა... და  
ზეცად ამადლდა.

\*\*\*

ისე დადლილი ვარ, ლექსის  
გაფიქრებაც მეზარება.

\*\*\*

სიცოცხლე არის ფიქრი. ...და როცა  
სხვები ამბობენ – ის დაიბადა! მე ვამ-  
ბობ – ის დაფიქრდა...

\*\*\*

შენ ოცნებობდი ტაბიძეზე, აბაშიძეზე,  
ჭავჭავაძეზე გქონოდა ბინა... და პოე-  
ზიაც შენთვის აღბათ, ერთი ქუჩაა...

\*\*\*

მძიმეა აღბათ ჩემი ლექსები, მა-  
გრამ მსუბუქი როცა დავწერე, ქარმა  
წაიღო.

\*\*\*

დაწერილი ლექსები არის სანაპირო,  
დაუწერელი – ოკეანე.

\*\*\*

ცხრამეტი წელი იწვოდა ჩემი სახ-  
ლი. ბოლოს კვამლი დაბრუნდა, ნაც-  
არი გაქრა და გადავრჩი...

\*\*\*

შემოქმედებითი შემოდგომა შემოდ-  
ბა...

\*\*\*

თუ შენიშვნა მოგცეს ე.ი. შეგნიშნეს,  
თუ შეგნიშნეს, აღბათ შესანიშნავი  
ხარ.

\*\*\*

ჩემს ლექსებს ბოლომდე ვერავინ  
გაიგებს, რადგან მე არ ვწერ “ბო-  
ლომდე” ლექსებს.



...ა6 - baratebi@hotmail.com

დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური  
უნივერსიტეტის ოფსეტურ სტამბაში

მისამართი: 380078 თბილისი  
ი. ჭავჭავაძის პრ. № 32

პარლამენტის პრეზიდიუმი



K 9.577/1